საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2018 წლის 12 იანვრის №39 სხდომის

d a d g e n i l e b a №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 12 იანვრის №39 სხდომაზე სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ქალბატონმა ნინო ხოლუაშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 10 იანვრის №6/1596 წერილში დაყენებული საკითხების შესახებ.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 10 იანვრის №6/1596 წერილის (უნივერსიტეტში რეგ. №74-01-94 12.01.2018წ.) საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

წარმომადგენლობითი საბჭო თანახმაა, ქვემოთ მითითებული საპრივატიზებო პირობების ვალდებულებით, გაუქმდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობის უფლება ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №60-ში (ნაკვ. 03/023) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ №1-№8 შენობა-ნაგებობაზე (საკადასტრო კოდი №01.14.11.003.023):

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ შედგენილი შესაბამისი საპროექტო და სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამისად, 2018 წლის 30 სექტემბრამდე, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №68-ში (ნაკვეთი 041/016) მდებარე №01.10.17.041.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ან მის ნაწილზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასარგებლოდ, უსასყიდლოდ, არანაკლებ 2880 კვ.მ. საერთო ფართობის მქონე შენობა-ნაგებობის აშენება, პროექტით გათვალისწინებული შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და რემონტით, რაც

უნდა მოიცავდეს (მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს) არანაკლებ 1 500 (ათას ხუთასი) m^3 მოცულობის რკინა-ბეტონის ავზს;

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად, არანაკლებ 3 300 000 (სამი მილიონ სამასი ათასი) ლარის (დღგ-ის გარეშე) ინვესტიციის განხორციელება;
3. უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით (მათ შორის ამავე ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), უძრავი ქონების გადაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, წარმოადგინოს მე-2 პუნქტით განსაზღვრული ინვესტიციის არანაკლებ 10 (ათი) პროცენტის ოდენობის უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა, არანაკლებ ოთხი თვით უნდა აღემატებოდეს პირველი პუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;
4. პირველ პუნქტში მითითებული ვალდებულების (აშენებული შენობის სტუ-ის მოთხოვნებთან შესაბამისობა) შესრულების დადასტურება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სათანადო დასკვნის (წერილის) საფუძველზე.

შენიშვნა: ამასთან, აუცილებლად მიგვაჩნია, ინვესტორმა თავის თავზე აიღოს ვალდებულება იმის შესახებაც, რომ საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისთვის გადაცემულ უძრავ ქონებას მის დღევანდელ მესაკუთრეს (სახელმწიფოს) დაუბრუნებს პირვანდელ მდგომარეობაში, ხოლო სახელმწიფო ამ ქონებას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს კვლავ გადასცემს სარგებლობის უფლებით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2018 წლის 12 იანვრის №39 სხდომის

d a d g e n i l e b a №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 12 იანვრის №39 სხდომაზე პროფ. მიხეილ რამაზაშვილმა წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემების, ქსელების, პროფესიონალური გახმოვანების და საკონფერენციო სისტემების დაპროექტების და ექსპლუატაციის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №2683.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებითი „საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემების, ქსელების, პროფესიონალური გახმოვანების და საკონფერენციო სისტემების დაპროექტების და ექსპლუატაციის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე